

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტის  
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

საგამოცდო ტესტები საგანში - „სასტუმრო მომსახურების მართვა“  
მაგისტრატურაში ჩასაბარებლად

**ტესტები შედგენილია შემდეგი წიგნებისა და სახელმძღვანელოების მიხედვით:**

- მ. მეტრეველი, „ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები“, თბ., 2011
- ე. ბარათაშვილი ლ. თაკალანაძე, „მენეჯმენტის საფუძვლები“, თბ., 2010
- ნ. თოდუა, დ. მღებრიშვილი, „მარკეტინგის საფუძვლები“, თბ., 2009

***ტურიზმი***

**1. ტურისტული მომსახურების ხარისხი არის:**

- ა) კვების დონის შესაბამისობა ტურისტთა მოლოდინთან;
- ბ) განთავსების დონის შესაბამისობა ტურისტთა მოლოდინთან;
- გ) მომსახურების დონის შესაბამისობა ტურისტთა მოლოდინთან;
- დ) ტრანსპორტირების დონის შესაბამისობა ტურისტთა მოლოდინთან;

**2. ტურისტის მოგზაურობის მიზნებია:**

- ა) ახალი კულტურის, ცხოვრების წესის, ეროვნული კერძებისა და ა.შ. გაცნობა;
- ბ) ახალი ბიზნესსაქმიანობის წამოწყება;
- გ) ეკონომიკური შემოსავლის მიღება;
- დ) პროფესიის შეცვლა.

**3. „კემპინგი“ არის:**

- ა) მცურავი სასტუმრო წყალზე;
- ბ) ავტო, მოტო, ველო ტურისტებისათვის განკუთვნილი განთავსების საშუალება;
- გ) მოძრავი სასტუმრო, რომელიც შედგება ვაგონებში მოწყობილი ნომრებისაგან;
- დ) გემი, რომელიც გამოიყენება სასტუმროდ.

**4. სასტუმროთა რომელ ტიპს განეკუთვნება „ჰოსტელი“?**

- ა) მცირე ზომის სასტუმროს წყალზე;
- ბ) კურორტზე განთავსებულ სასტუმროს;
- გ) ხუთვარსკვლავიან სასტუმროთა ტიპს;

დ) ახალგაზრდული ტიპის სასტუმროს მინიმალური კომფორტით.

**5. სასტუმროში ნახევარ პანსიონი ნიშნავს:**

- ა) ორჯერად კვებას;
- ბ) სამჯერად კვებას;
- გ) ოთხჯერად კვებას;
- დ) ერთჯერად კვებას.

**მენეჯმენტი**

**6. რას ნიშნავს ტერმინი „ფუნქცია“?**

- ა) ახსნას, განმარტებას;
- ბ) დაქვემდებარებას;
- გ) საქმიანობას, მოვალეობას;
- დ) გაგებას, დაზუსტებას.

**7. რამდენი სუბიექტისაა განშედგებაა. მასლოუსიერარქიული პირამიდა?**

- ა) 4;
- ბ) 5;
- გ) 6;
- დ) 7.

**8. რა არის კომუნიკაცია?**

- ა) საქონლის გაცვლის პროცესი;
- ბ) ინფორმაციის გაცვლის პროცესი;
- გ) გამოცდილების გაცვლის პროცესი;
- დ) ტექნოლოგიის გაცვლის პროცესი.

**9. რომელი არ მიეკუთვნება მენეჯმენტის ელემენტს?**

- ა) მენეჯმენტის თეორია;
- ბ) მენეჯმენტის მეთოდები;
- გ) მენეჯმენტის ორგანიზაცია;
- ე) მენეჯმენტის კანონები.

**10. გადაწყვეტილებებს, რომელი ცვანსაზღვრავენ ორგანიზაციის ასპექტებს ეწოდება:**

- ა) პრიორიტეტული;

- ბ) კონცეპტუალური;
- გ) ავტორიტეტული;
- დ) ფუნდამენტური.

## მარკეტინგი

**11. რომელმა მარკეტინგულმა კონცეფციამ დააკავშირა ერთმანეთთან საწარმოს, მომხმარებლების და საზოგადოების ინტერესები?**

- ა) სოციალურ-ეთიკურმა მარკეტინგის კონცეფციამ;
- ბ) საქონლის სრულყოფის კონცეფციამ;
- გ) უშუალოდ მარკეტინგის კონცეფციამ;
- დ) წარმოების სრულყოფის კონცეფციამ.

**12. მარკეტინგის გეგმა უნდა მოიცავდეს:**

- ა) ბაზრის მიმდინარე მდგომარეობას;
- ბ) SWOT ანალიზს;
- გ) მარკეტინგის სტრატეგიას;
- დ) სამივე პასუხი სწორია.

**13. მარკეტინგულ ეთიკაში იგულისხმება მარკეტოლოგების და ბიზნესში დასაქმებული ყველა ადამიანის:**

- ა) ქცევის სტანდარტები, მორალური ფასეულობები;
- ბ) მორალური ფასეულობები და მოთხოვნილებები;
- გ) ქცევის სტანდარტები და შემოსავალი;
- დ) ცხოვრების წესი.

**14. პანელური მარკეტინგული კვლევა გულისხმობს:**

- ა) პერიოდულ კვლევას;
- ბ) მეორად ინფორმაციაზე დამყარებულ კვლევას;
- გ) განსხვავებულ პრობლემათა ერთდროულ კვლევას;
- დ) პირველად მარკეტინგულ ინფორმაციაზე დამყარებულ კვლევას.

**15. მარკეტინგული კვლევის კონკრეტული მეთოდია:**

- ა) დედუქცია;
- ბ) დაჯგუფება;
- გ) ანალიზი;
- დ) სინთეზი.